

შუალედური ანგარიში

13 სექტემბერი - 3 ოქტომბერი, 2017 წელი

2017 წლის 6 ოქტომბერი

I. შემაჯამებელი რეზიუმე

- 22 აგვისტოს პრეზიდენტმა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღად 21 ოქტომბერი გამოაცხადა. ამომრჩევლები ადგილობრივი თვითმმართველობის 64 წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს), 5 თვითმმართველი ქალაქის მერს და 59 თვითმმართველი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს აირჩევენ. იმ შემთხვევაში, თუ მერობის ან მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ვერცერთი კანდიდატი ვერ მოაგროვებს ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, არჩევნების მეორე ტური 25 დღის ვადაში გაიმართება. საკრებულოების არჩევა, შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე პირველივე ტურში მოხდება.
- ადგილობრივი არჩევნები ადგილობრივი მმართველობის განახლებული სტრუქტურის მიხედვით ჩატარდება, რომელიც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე იქნა შემოღებული. გარდა ამისა, მმართველი პარტიის მიერ შემოთავაზებულ და პარლამენტის მიერ 26 სექტემბერს დამტკიცებულ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულმა აზრთა სხვადასხვაობამ პოლიტიკური ლანდშაფტის პოლარიზება მოახდინა. საპარლამენტო ოპოზიციაში შემავალმა პარტიებმა კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადეს.
- საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა. ცვლილებების უმეტესი ნაწილი ტექნიკური ხასიათის იყო და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის ძირითად რეკომენდაციებს არ ითვალისწინებდა. ზოგიერთი ცვლილება, მათ შორის, ის ახალი დებულებები, რომლებიც საარჩევნო კომისიების შემადგენლობას ეხება, მხოლოდ მიმდინარე არჩევნების შემდეგ შევა ძალაში.
- არჩევნებს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისია მართავს ცესკო რეგულარულად ატარებს სხდომებს, რომლებიც ღია აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის 3.4 მილიონზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან საუბრისას

პროცესში ჩართულ მხარეებს ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

- ამომრჩეველებმა არჩევანი უნდა გააკეთონ არსებული 597 პარტიული და ბლოკების პროპორციული სიებიდან, ასევე 4,835 მაჟორიტარ და 382 მერობის კანდიდატს შორის (შესაძლოა ზოგიერთმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნას ან შესაბამისმა პარტიამ საკუთარი კანდიდატის უკან გაწვევა გადაწყვიტოს). საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით მერის არჩევნებში დამოუკიდებელ კანდიდატებსაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. მაჟორიტარი კანდიდატების დაახლოებით 16, ხოლო მერობის კანდიდატების დაახლოებით 12% ქალია.
- წინასაარჩევნო კამპანია, რომელიც 22 აგვისტოს დაიწყო, მშვიდ გარემოში მიმდინარეობს. თბილისის გარეთ წინასაარჩევნო აქტივობა დაბალია. მმართველი გუნდი „ქართული ოცნება“ და ოპოზიციური პარტია „ევროპული საქართველო“ ყველაზე აქტიური და შესამჩნევი პარტიებია.
- კანონის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანიების როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სახსრებით დაფინანსება არის შესაძლებელი. არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშების წარმოდგენა ევალებათ. ამ მომენტისთვის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა ჯამში დაახლოებით 2,807,000 ევროს ოდენობის შემოწირულობა მიიღეს, რომლის 94.2% მმართველ პარტიაზე მოდის.
- ზოგადად არსებული მედიის პლურალიზმისა და თავისუფლების მიუხედავად, არჩევნებით დაინტერესებული მხარეების აზრით, სამაუწყებლო მედია პოლიტიკური თვალსაზრისით პოლარიზებული და დაყოფილია. ყველაზე პოპულარული კერძო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავა და ასევე, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში ბოლო დროს მომხდარი ცვლილებები შეშფოთებას იწვევს. 15 სექტემბერს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 15 ტელეარხის და 5 ბეჭდური გამოცემის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონიტორინგი დაიწყო.
- საარჩევნო კოდექსის მიხედვით საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრების შეტანისა და განხილვისთვის მოკლე ვადებია დადგენილი. როგორც არჩევნებში მონაწილე რეგისტრირებული სუბიექტების, ისე სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საკითხების უმრავლესობასთან დაკავშირებით საჩივრების შეტანის უფლება გააჩნიათ. ამ

მომენტისთვის შესაბამის ორგანოებში მცირე რაოდენობით საჩივარი და სარჩელია შეტანილი.

- საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მთლიან საარჩევნო პროცესზე დაკვირვება ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს და ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებს შეუძლიათ. 3 ოქტომბრის მონაცემებით, ცესკოში 52 ადგილობრივი და 23 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია იყო რეგისტრირებული.
- არჩევნებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი არაერთი კანდიდატი მონაწილეობს, ძირითადად ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. საარჩევნო ადმინისტრაცია ეროვნული უმცირესობების ენებზე ბიულეტენების და ამომრჩეველთა ინფორმირებისთვის განკუთვნილი მასალების გავრცელებას და საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ტრენინგების ჩატარებას უზრუნველყოფს.

II. შესავალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოწვევის საფუძველზე, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა თავისი მანდატის შესაბამისად, 13 სექტემბერს საქართველოში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია გახსნა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია, რომელსაც კორინ იონკერი ხელმძღვანელობს, თბილისში მოქმედი 14-წევრიანი ძირითადი გუნდისა და 22 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომლებიც მთელს ქვეყანაში გადანაწილდნენ. მისიის წევრები ეუთოს 25 წევრი ქვეყნიდან შეირჩა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა ეუთოს წევრ ქვეყნებს, კენჭისყრის დღეს პროცედურებზე დაკვირვების მიზნით, 350 მოკლევადიანი დამკვირვებლის გამოგზავნა სთხოვა.

III. წინა ისტორია და პოლიტიკური კონტექსტი

22 აგვისტოს პრეზიდენტმა ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღად 21 ოქტომბერი გამოაცხადა. არჩევნები ადგილობრივი თვითმმართველობის განახლებული სტრუქტურის საფუძველზე გაიმართება, რომელიც არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე დამტკიცდა. განხორციელდა თოთხმეტი მუნიციპალიტეტის გაერთიანება, ხოლო შვიდმა ქალაქმა თვითმმართველი სუბიექტის სტატუსი დაკარგა.¹ ამომრჩევლები ადგილობრივი თვითმმართველობის 63 წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს), თბილისის

¹ აღნიშნულმა რეფორმამ ზეგავლენა იქონია ზუგდიდის, გორის, თელავის, ამბროლაურის, მცხეთის, ოზურგეთისა და ახალციხის სტატუსზე.

საკრებულოს წევრებს და ხუთი თვითმმართველი ქალაქის, მათ შორის თბილისის, მერს აირჩევნ. გარდა ამისა, მოხდება 59 თვითმმართველი თემის ხელმძღვანელის არჩევა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მმართველმა პარტია „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა - 150-დან 115 მანდატი. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 27 მანდატი, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ კი 6 საპარლამენტო მანდატი მიიღო. რაც შეეხება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსა“ და დამოუკიდებელ კანდიდატს, ისინი თითო მანდატითაა პარლამენტში წარმოდგენილი. არჩევნების შემდეგ, პარლამენტის 21-მა წევრმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და „მოძრაობა თავისუფლებისთვის - ევროპული საქართველო“ ჩამოაყალიბა.

„ქართული ოცნების“ მიერ 2017 წლის დასაწყისში შემოთავაზებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად გამოწვეულმა აზრთა სხვადასხვაობამ პოლიტიკური გარემოს პოლარიზება გამოიწვია.² იმის მიუხედავად, რომ პარლამენტში შემავალ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, 26 სექტემბერს საკონსტიტუციო უმრავლესობამ 117 ხმით აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა; პროტესტის ნიშნად, საპარლამენტო ოპოზიციამ კენჭისყრას ბოიკოტი გამოუცხადა.

IV. სამართლებრივი ბაზა და საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი არჩევნები ძირითადად კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსით, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) დადგენილებებითა და განკარგულებებით რეგულირდება.³ საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები 2017 წლის ივლისში შევიდა, აღნიშნული ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო. ამ ცვლილებების შედეგად კანდიდატურასთან დაკავშირებული მოთხოვნები შემსუბუქდა, არარეგისტრირებული ამომრჩევლების რეგისტრაციისთვის კონკრეტული ვადები დაწესდა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის სისტემა დაინერგა. თუმცა ამ ცვლილებებით ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის მიერ მანამდე შემოთავაზებული მთავარი რეკომენდაციების შესრულება არ

² სხვა საკითხებთან ერთად საკონსტიტუციო ცვლილებები ითვალისწინებს პრეზიდენტის უფლებამოსილების გადაცემას პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის კომპეტენციაში. აგრეთვე ცვლილებები მოიცავს პრეზიდენტის პირდაპირი წესით, ხოლო პარლამენტის პროპორციული საარჩევნო სისტემის მიხედვით არჩევას. ეს ცვლილებები არავითარ იურიდიულ ზეგავლენას არ მოახდენს მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებზე.

³ ადგილობრივი არჩევნების სპეციფიკური ასპექტები სხვა კანონებით რეგულირდება, მათ შორის, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ კანონით და მაუწყებლობის შესახებ კანონით.

მომხდარა. ზოგიერთი საკანონმდებლო ცვლილება მხოლოდ 21 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შევა ძალაში.⁴

საკრებულოებში არჩევნები შერეული პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ტარდება. თბილისში საკრებულოს 25 წევრს პროპორციული სიით, ხოლო 25-ს მაჟორიტარული სისტემით აირჩევენ. თვითმმართველ ქალაქებში (ქუთაისში, ფოთში, ბათუმსა და რუსთავში) საკრებულოების 15 წევრი პროპორციული სიით, ხოლო 10 კი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. დანარჩენ 59 მუნიციპალიტეტში 15 წევრი პროპორციული სიებით, ხოლო 1 წევრი მაჟორიტარული სისტემით აირჩევა. გარდა ამისა, 1-დან 5 მაჟორიტარი თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრის წარმომადგენლად აირჩევა. რაოდენობა დამოკიდებულია კონკრეტული თვითმმართველი თემის ადმინისტრაციულ ცენტრის ზომაზე. პროპორციულ არჩევნებში ის პარტიები/ბლოკები, რომლებიც მიიღებენ არჩევნებში მონაწილეთა ხმების მინიმუმ ოთხ პროცენტს, მონაწილეობას იღებენ საკრებულოებში ადგილების გადანაწილებაში. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, არჩეულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც ხმების უმეტესობას დააგროვებს.

მერების არჩევა პირდაპირი წესით ხდება. გამარჯვებულად ის კანდიდატი ჩაითვლება, რომელიც არჩევნებში ხმების 50%-ზე მეტს მიიღებს. თუ ხმების აღნიშნულ რაოდენობას ვერცერთი კანდიდატი ვერ დააგროვებს, არჩევნების მეორე ტური საუკეთესო მაჩვენებლების მქონე ორ კანდიდატს შორის არჩევნების ჩატარებიდან 25 დღის განმავლობაში გაიმართება.

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების ადმინისტრირება ხორციელდება სამ-დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, 73 საოლქო და 3,634 საუბნო საარჩევნო კომისიისგან შედგება. ყველა დონის საარჩევნო კომისიაში 13 წევრია, აქედან 7 წევრს ის პარტიები წარადგენენ, რომლებიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ.⁵ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე კიდევ ხუთი წევრს ირჩევს პარლამენტი პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან. ხოლო ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატურას პრეზიდენტი ასახელებს და მისი არჩევა ცესკოს წევრთა ორი მესამედის მიერ ხდება. ამჟამად ცესკოს სამი წევრი ქალია, მათ შორის თავმჯდომარე.

⁴ ამ ცვლილებებში საარჩევნო კომისიების შემადგენლობასთან დაკავშირებული ახალი დებულებები შედის, რის შედეგადაც გაიზრდება მმართველი პარტიის წარმომადგენლობა ყველა დონეზე.

⁵ პარტიებს სახელმწიფო დაფინანსების მიღება იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ წინა საპარლამენტო ან ადგილობრივ არჩევნებზე ხმების 3% მაინც მიიღეს. ამჟამად ასეთი 20 პარტიაა, აქედან მოახლოებულ არჩევნებში 16 პარტია მონაწილეობს.

დღემდე, ცესკო რეგულარულად ატარებს სხდომებს, რომლებიც ღიაა აკრედიტებული დამკვირვებლებისა და მედიის წარმომადგენლებისთვის. სხდომების დღის წესრიგი და ოქმები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. თუმცა, ცესკომ არაფორმალური დახურული მოსამზადებელი ხასიათის შეხვედრებიც გამართა. ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია დროულად მიაწოდა.

ცესკოს სწავლების ცენტრში საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის სწავლების პირველი ეტაპი გაიმართა, ზოგიერთ ტრენინგს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიაც დააკვირდა. ცესკომ ტრენინგები არჩევნებში დაინტერესებულ სხვადასხვა მხარეს და სახელმწიფო და ადგილობრივ ოფიციალურ პირს ჩაუტარა. გარდა ამისა, ცესკომ ამომრჩეველთა განათლების კამპანია გამართა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების ენებზე. ამასთან, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების არჩევნებში მონაწილეობის ხელშესაწყობად სპეციალური ზომებია მიღებული.⁶

პარტიების მიერ დასახელებული წევრების გარდა საოლქო საარჩევნო კომისიებში ცესკოს მიერ ღია კონკურსით შერჩეული ხუთი მუდმივი და ერთი დროებითი წევრი შედის. საუბნო საარჩევნო კომისიებში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ზემოთხსენებული წესით შერჩეული ექვსი წევრი შედის.⁷ ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საუბნო საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების პროცესს გამჭვირვალობა აკლია.

საუბნო საარჩევნო კომისიების ჩამოყალიბება და პირველი სხდომების ჩატარება 21 სექტემბრამდე - კანონით განსაზღვრული საბოლოო ვადამდე განხორციელდა. საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობაში საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ დანიშნული წევრები თავმჯდომარეებად, თავმჯდომარის მოადგილეებად და მდივნებად იყვნენ არჩეული. ცესკოს მონაცემებით, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა 62%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 71%-ს აღწევს), ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა 36%-ს (საუბნო საარჩევნო კომისიებში ეს მაჩვენებელი 63%-ია) ქალები შეადგენენ.

⁶ დღესდღეობით 1,151 ადაპტირებული საარჩევნო უბანი მოეწყო, სადაც სპეციალური საარჩევნო ჯიხურები დაიდგა. თითოეულ ასეთ საარჩევნო უბანზე ხელმისაწვდომია გამადიდებელი შუშა და ტაქტილური ჩარჩოების მქონე ბიულეტენები.

⁷ საუბნო საარჩევნო კომისიების ამჟამინდელ წევრთა 60%-ზე მეტი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც იყვნენ დასაქმებული საარჩევნო ადმინისტრაციაში.

VI. ამომრჩევლების რეგისტრაცია

ხმის მიცემის უფლება არჩევნების დღისთვის 18 წელს მიღწეულ ყველა პირს გააჩნია, გარდა იმ პირებისა, რომელთაც პატიმრობა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ გამოცხადებული პირები სარგებლობენ ხმის მიცემის უფლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი სტაციონარში არიან მოთავსებული.

ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცესი პასიურია. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი ორგანოების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე ცესკო ამომრჩეველთა სიების შედგენაზეა პასუხისმგებელი. ცესკო ამომრჩეველთა განახლებულ მონაცემებს წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ იღებს.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, სახელმწიფო რეესტრში ამჟამად რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 79%-ის ბიომეტრული მონაცემები ინახება. თებერვალში ხელისუფლებამ 21 ოქტომბრის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიების სიზუსტის გასაუმჯობესებლად სპეციალური პროექტი დაიწყო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, მობილურმა ჯგუფებმა ამომრჩევლების სიის გადამოწმება კარდაკარის პრინციპით განახორციელეს, ხოლო რეგისტრაციიდან მოხსნილმა ამომრჩევლებმა შესაბამისი შეტყობინება მიიღეს. სახის ამოცნობის სპეციალური კომპიუტერული პროგრამის გარდა თითოეული ფოტოს შედარება ინდივიდუალურად განხორციელდა დუბლირების აღმოფხვრის მიზნით. ინფორმაციის ნაკლებობის გამო, გარდაცვლილი, უცხოეთში ან საქართველოს ხელისუფლების არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ამომრჩეველთა სიებიდან ამოღება კვლავ გამოწვევად რჩება. 2017 წლის ივლისში საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შევიდა, რომლის თანახმად ოფიციალური მისამართის ან საიდენტიფიკაციო ბარათის არმქონე ამომრჩევლებს და ასევე იმ პირებს, რომელთაც საარჩევნო რეგისტრაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაუუქმდათ, 15 სექტემბრამდე რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა მიეცათ.

ცესკოს ინფორმაციით, 1 სექტემბრის მონაცემებით საარჩევნო სიებში სულ 3,442,455 ამომრჩეველი იყო რეგისტრირებული. ამომრჩეველთა სიები საარჩევნო უბნებში 21 სექტემბრიდანაა გამოკრული, რათა ამომრჩევლებმა საკუთარი მონაცემების გადამოწმება შეძლონ. ამომრჩევლებს საკუთარი რეგისტრაციის გადამოწმება ინტერნეტის და ასევე მთელს ქვეყანაში განლაგებული 9,500 სწრაფი გადახდის ტერმინალის მეშვეობით შეუძლიათ. ამომრჩეველთა სიებში შესწორებების შეტანაზე მოთხოვნების წარდგენა 3 ოქტომბრამდეა შესაძლებელი. ამ მომენტისთვის ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან პროცესში ჩართულ მხარეებს ამომრჩეველთა სიების სიზუსტესთან დაკავშირებით სერიოზული შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

VII. კანდიდატების რეგისტრაცია

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მიღება ხმის მიცემის უფლების მქონე 21 წელს მიღწეულ ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია; ხოლო მერობის კანდიდატი მოქალაქე მინიმუმ 25 წლის უნდა იყოს. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების თანახმად, ივლისში საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით კანდიდატებს აღარ მოეთხოვებათ არჩევნებამდე საქართველოში მინიმუმ ორი წლის მანძილზე ცხოვრებასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. საქართველოში ზოგადად მინიმუმ ხუთი წლის მანძილზე ცხოვრების მოთხოვნა კვლავ ძალაში რჩება. კანონის მიხედვით თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატები უნდა ფლობდნენ ქართულ ენას, ამგვარი მოთხოვნა სხვა მუნიციპალიტეტებში არ მოქმედებს. თუმცა, ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ ენასთან დაკავშირებული აღნიშნული მოთხოვნა რეალურად არ სრულდება.⁸

არჩევნებში კანდიდატების წარსადგენად პარტიები ცესკოში უნდა იყვნენ დარეგისტრირებული. იმ პარტიებს, რომლებსაც წინა საპარლამენტო არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვება ევალებათ.⁹ ცესკომ წარდგენილი ხელმოწერები შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების თანდასწრებით გადაამოწმა. ცესკოს ჯამში 38-მა პარტიამ მიმართა, აქედან 36-ის რეგისტრაცია განხორციელდა. დაინტერესებული მხარეების უმრავლესობის შეფასებით, აღნიშნული პროცესი ინკლუზიური და გამჭვირვალე იყო.¹⁰ სამ პარტიას მოგვიანებით რეგისტრაცია გაუუქმდა პირადი განცხადების საფუძველზე. არჩევნებში ჯამში 22 პარტია იღებს დამოუკიდებლად მონაწილეობას, ხოლო 11-მა პარტიამ 5 საარჩევნო ბლოკი შექმნა.

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2016 წელს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად დამოუკიდებელ კანდიდატებს, გარდა მაჟორიტარის მანდატის მოსაპოვებლად ბრძოლისა, მერის არჩევნებშიც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად მათ შესაბამის საარჩევნო ოლქში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 1%-ის მხარდამჭერი ხელმოწერები უნდა შეაგროვონ. პარტიებს ხელმოწერების

⁸ განაცხადის ფორმის შევსებისას კანდიდატებმა უნდა მიუთითონ, რომ ფლობენ ქართულ ენას.

⁹ კვალიფიციურ პარტიებს 1,000, ხოლო არაკვალიფიციურ პარტიებს 25,000 ხელმოწერის შეგროვება დაევალებათ.

¹⁰ „საქართველოს ეკონომიკური განვითარების და სიღარიბის დაძლევის პარტიის“ რეგისტრაციის მოთხოვნა არაუფლებამოსილმა პირმა წარადგინა, ხოლო პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ მხარდამჭერთა ხელმოწერები არასაკმარისი რაოდენობით წარმოადგინა.

შესაგროვებლად 60 დღე ჰქონდათ, მაშინ როდესაც დამოუკიდებელ კანდიდატებს ამისთვის 10 დღემდე ვადა განესაზღვრათ.¹¹

2 ოქტომბრის მონაცემებით ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიებს შემდეგი რაოდენობის კანდიდატები ჰყავდათ რეგისტრირებული: პარტიების და ბლოკების მიერ წარმოდგენილი 597 პროპორციული სია (12,000-ზე მეტი კანდიდატი), 382 მერობის კანდიდატი (მათ შორის 12 დამოუკიდებელი კანდიდატი) და 4,835 მაჟორიტარობის კანდიდატი (მათ შორის 212 დამოუკიდებელი კანდიდატი).¹² სულ არჩევნებში 800 მაჟორიტარობის კანდიდატი ქალი (16%) და 46 მერობის კანდიდატი ქალი (12%) იღებს მონაწილეობას. რეგისტრაციის შემდეგ ზოგიერთმა სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.¹³ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ეცნობა, რომ ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთმა სუბიექტმა საკუთარი კანდიდატურა სავარაუდოდ ზეწოლის შედეგად გააუქმა. რამდენიმე დამოუკიდებელმა კანდიდატმა საკუთარი კანდიდატურა პარტიულ სიაში მოხვედრის სანაცვლოდ მოხსნა.¹⁴

VIII. წინასაარჩევნო გარემო და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება

წინასაარჩევნო კამპანია ოფიციალურად 22 აგვისტოს დაიწყო. თუმცა არჩევნებში მონაწილე ბევრმა სუბიექტმა თბილისის მერობის კანდიდატების დასახელება და, გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება ამ თარიღამდე ადრე დაიწყო. ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისთვის თანაბარი პირობების, მათ შორის, კამპანიის ფარგლებში ღონისძიებების ჩასატარებელი და სააგიტაციო მასალების გასაკრავი ადგილების გამოყოფა ევალებათ.

დღეის მონაცემებით თბილისის ფარგლებს გარეთ წინასაარჩევნო კამპანია აქტიურობით არ გამოირჩევა. თბილისსა და სხვა ქალაქებში ძირითადად „ქართული ოცნების“ ბილბორდები დომინირებს, შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი „ევროპული საქართველოს“ პლაკატები. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ეცნობა, რომ შეზღუდული ფინანსური რესურსების გამო, რომლის ძირითადი წყარო სახელმწიფო დაფინანსებაა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „პატრიოტთა ალიანსი“, „ლეიბორისტული პარტია“ და „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობა“ ნაკლებად შესამჩნევ წინასაარჩევნო კამპანიებს ატარებენ.

¹¹ ცესკომ დამოუკიდებელი კანდიდატების წარმდგენი საინიციატივო ჯგუფების მიერ მხარდამჭერთა ხელმოწერების წარდგენის საბოლოო ვადად 1 სექტემბერი დაადგინა, არჩევნებამდე 50 დღით ადრე. საარჩევნო კომისიებმა საინიციატივო ჯგუფებისგან განაცხადების მიღება მხოლოდ არჩევნების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან - 22 აგვისტოდან დაიწყეს.

¹² ჯამში არჩევნები 64 მუნიციპალიტეტში არსებულ 1,090 მაჟორიტარული ოლქში ტარდება.

¹³ კანდიდატურის მოხსნის საბოლოო ვადა 9 ოქტომბერია.

¹⁴ მაგალითად, სამმა ასეთმა კანდიდატმა ზესტაფონში „ქართულ ოცნებაში“ რეგისტრაცია გადაწყვიტა, შვიდი ასეთი შემთხვევა დმანისში დაფიქსირდა (1 დამოუკიდებელი კანდიდატი „ქართული ოცნების“ სიაში, ხოლო 6 „შენების მოძრაობის“ სიაში მოხვდა).

კანონი პოლიტიკური თანამდებობის პირებს წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლებას ანიჭებს; პრემიერ-მინისტრმა „ქართული ოცნების“ კანდიდატები მთელი საქართველოს მასშტაბით წარადგინა.¹⁵

წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში საარჩევნო სუბიექტები ძირითადად მოსახლეობასთან მცირემასშტაბიანი შეხვედრებით, კარდაკარ აგიტაციით და ბროშურების გავრცელებით შემოიფარგლებიან. თბილისის მერობის კანდიდატთა საარჩევნო მარათონს თუ არ ჩავთვლით, სადაც სპეციფიკური ადგილობრივი საკითხებია ასახული, პარტიებისა და კანდიდატების პლატფორმები ზოგადად ერთმანეთის მსგავსია, მათი წინასაარჩევნო კამპანია ეკონომიკასთან, დასაქმებასთან, ინფრასტრუქტურასთან და ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემატიკას შეეხება. ზოგადად წინასაარჩევნო ატმოსფერო მშვიდია.¹⁶

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ უკვე არაერთი ბრალდება მოისმინა იმის შესახებ, რომ წინასაარჩევნო კამპანიებში მონაწილე თანამშრომლებსა და ამომრჩევლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რათა მათ ოპოზიციის კანდიდატებისთვის არ დაეჭირათ მხარი, ან „ქართული ოცნების“ ღონისძიებებს დასწრებოდნენ. პროცესში ჩართულმა რამდენიმე მხარემ მმართველი პარტიის მიერ ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა.¹⁷

კანონის მიხედვით პარტიების/ბლოკების დაფინანსება როგორც კერძო, ისე სახელმწიფო წყაროებიდანაა შესაძლებელი; დამოუკიდებელ კანდიდატებს სახელმწიფო დაფინანსების მიღება არ შეუძლიათ.¹⁸ არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს საკუთარი წინასაარჩევნო კამპანიების დასაფინანსებლად ბანკებიდან სესხის მოთხოვნის უფლებაც აქვთ. თითოეული

¹⁵ საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის მიხედვით პოლიტიკური თანამდებობის პირში იგულისხმება პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წევრები და მათი მოადგილეები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და მათი თავმჯდომარეები, მერები და გუბერნატორები.

¹⁶ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას ეცნობა, რომ 23 სექტემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატი და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომელი ფიზიკურად თავს დაესხა „ევროპული საქართველოს“ მაჟორიტარობის კანდიდატს. 2 ოქტომბერს თბილისის მერიასთან დაახლოებით 300 ადამიანი შეიკრიბა ქალაქის ცენტრში მდებარე მიწის ნაკვეთის 1 ლარად გასხვისების შესახებ მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად. აღნიშნული შეკრება ძალადობაში გადაიზარდა მას შემდეგ, რაც საპროტესტო აქციის მონაწილეებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატის მეთაურობით მერიაში შეჭრა სცადეს, რასაც პოლიცია წინ აღუდგა. აქციაზე ექვსი ადამიანი დააკავეს.

¹⁷ 15 სექტემბერს ცესკომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ღონისძიების ამსახველი ფოტოების აღნიშნული სამინისტროს ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე გამოქვეყნებისთვის დააჯარიმა.

¹⁸ კვალიფიციური პარტიების ყოველწლიური საბაზისო დაფინანსება 300,000 ლარს (102,100 ევროს) შეადგენს.

პარტიის ყოველწლიური ხარჯი 35,048,000 ლარს (11,806,300 ევროს) არ უნდა აღემატებოდეს.¹⁹ დამოუკიდებელი კანდიდატების ხარჯების ლიმიტი სხვადასხვა საარჩევნო ოლქში განსხვავებულია და ის ამომრჩეველთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. ერთი ადამიანის მხრიდან ყოველწლიური შემოწირულობის რაოდენობა 60,000 ლარს (20,350 ევროს) არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო იურიდიული პირების შემთხვევაში ეს ლიმიტი 120,000 ლარს (40,700 ევროს) შეადგენს.

არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს წინასაარჩევნო ფონდის შექმნა და შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშის სამ კვირაში ერთხელ, ხოლო თითოეული შემოწირულობის მიღებიდან ხუთ დღეში ამ შემოწირულობის შესახებ ანგარიშების წარდგენა ევალებათ. პარტიების და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების ზედამხედველობას სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს, რომელიც თანხების წარმომავლობას ამოწმებს და წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევებზე რეაგირებას ახდენს. 2 ოქტომბერს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალმა თავმჯდომარემ, რომელიც ამ თანამდებობაზე სექტემბრის ბოლოს დაინიშნა, თავისი ორი მოადგილე შეცვალა, რომელთაგან ერთ-ერთი ამ არჩევნების განმავლობაში პარტიებისა და წინასაარჩევნო კამპანიების დაფინანსების მონიტორინგზე იყო პასუხისმგებელი. არჩევნებით დაინტერესებულმა რამდენიმე მხარემ ამ დაწესებულების მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით ეჭვები გამოთქვა. 29 სექტემბრის მონაცემებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურში შემოწირულობების შესახებ დეკლარაცია მხოლოდ რამდენიმე საარჩევნო სუბიექტმა წარადგინა.²⁰ აუდიტის სამსახურმა ოთხი საჩივარი განიხილა და ორი საარჩევნო სუბიექტი დააჯარიმა.²¹ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებიდან 12-მა პარტიამ და ბლოკმა და ასევე 4-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა 429 შემომწირველისგან სულ 8,236,078 ლარის (2,807,000 ევროს) ოდენობის შემოწირულობა მიიღო.²² აქედან ქართული ოცნების სასარგებლოდ გაკეთებული შემოწირულობები 94.2%-ს შეადგენდა.²³

¹⁹ წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1 პროცენტს უდრის.

²⁰ ჯერჯერობით ხუთი შემომწირველის შემოწირულობა გადამოწმდა, კიდევ ცხრა შემომწირველიდან დანიშნულია გასაუბრება. ამ ხუთი შემოწირულობიდან ოთხი „ევროპული საქართველოს“, ხოლო ერთი „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გაკეთდა.

²¹ სახელმწიფო აუდიტის სამსახური ალექსანდრე ელისაშვილის წინააღმდეგ მიმართული დასპონსორებული ყალბი ფეისბუქ გვერდის საკითხს და ასევე ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების სამ მაგალითს იძიებს. ამ მომენტისთვის „ლეიბორისტული პარტია“ და „თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა“ 2,000 ლარით დაჯარიმდნენ მათ მიერ ნაღდი ანგარიშსწორებით გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშის წარმოუდგენლობის გამო.

²² აქედან 238 კერძო პირმა და 29 იურიდიულმა პირმა შემოწირულობები „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ გააკეთა.

²³ საანგარიშო პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ 7,761,978 ლარი მიიღო, მას მოსდევს „ევროპული საქართველო“ 335,040 ლარით; „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 40,379 ლარი მიიღო; „პატრიოტთა ალიანსის“ შემოწირულობებმა 26,242 ლარი შეადგინა; ალექსანდრე ელისაშვილმა შემოწირულობის სახით 24,170 ლარი მიიღო.

IX. მედია

მედია გარემო მრავალფეროვანია და 92 ტელეარხს (მათ შორის 12 ეროვნულ საერთო ციფრულ მაუწყებელს), 51 რადიო სადგურს, დაახლოებით 300 ბეჭდურ გამოცემას და მრავალრიცხოვან ონლაინ მედია საშუალებას მოიცავს. ტელევიზია ინფორმაციის მიღების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, განსაკუთრებით, დედაქალაქის გარეთ. ონლაინ მედიის როლი სტაბილურად იზრდება, განსაკუთრებით ურბანულ ცენტრებში.

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან შეხვედრისას პროცესში ჩართული არაერთი მხარის შეფასებით, 2012 წლის შემდეგ ზოგადი მედიის პლურალიზმის და თავისუფლების მხრივ თვალშისაცემი გაუმჯობესება შეინიშნება. თუმცა ჟურნალისტები კვლავ დაუცველები არიან პოლიტიკური ზეგავლენისგან, კერძოდ კი, სამაუწყებლო მედია პოლიტიკური თვალსაზრისით აღიქმება როგორც პოლარიზებული და დაყოფილი. გარდა ამისა, პროცესში ჩართულმა მხარეებმა შემოთქვეს საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებების და აღნიშნული ცვლილებების საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამულ და საკადრო სტრუქტურაზე ზეგავლენის გამო.

2017 წლის 2 მარტს უზენაესი სასამართლოს მიერ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ამჟამინდელი მფლობელების წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება არაერთმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელმა და საერთაშორისო ორგანიზაციამ გააკრიტიკა, მათ შორის, ეუთოს წარმომადგენელმა მედიის თავისუფლების საკითხებში, რომელმაც მედიის პლურალიზმის და დამოუკიდებლობის კუთხით არსებულ საფრთხეებს გაუსვა ხაზი.²⁴ 7 მარტს ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ შემდგომ შეტყობინებამდე საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეჩერებულიყო და ხელისუფლებას მაუწყებლის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისგან თავი შეეკავებინა. ტელეკომპანია ფუნქციონირებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მის მფლობელობასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე არხი ფინანსური შეზღუდვების წინაშე დგას.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მედიის საკანონმდებლო ჩარჩოს შეადგენს კონსტიტუცია, რომელიც სიტყვის თავისუფლების გარანტიას უზრუნველყოფს და ცენზურას კრძალავს, ასევე კანონი მაუწყებლობის შესახებ და საარჩევნო კოდექსი. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო რეკლამებისთვის უფასო საეთერო დროის გამოყოფას ავალდებულებს. მაუწყებლებმა ფასიანი საარჩევნო რეკლამის განთავსების თანაბარი შესაძლებლობები და დებატებში თანაბრად მონაწილეობის საშუალება უნდა უზრუნველყოფნ. კანონით საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და საზოგადოებრივი

²⁴ იხილეთ მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენლის 3 მარტის [პრეს რელიზი](#).

მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას (რეგიონული საზოგადოებრივი მაუწყებელი) უფასო საეთერო დროის ყველა არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფა ევალუბათ. პარტიებს ფასიანი რეკლამის ხარჯების ზედა ზღვარი არ აქვთ განსაზღვრული; მაუწყებლებმა ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ტარიფი უნდა გამოაქვეყნონ და საარჩევნო სუბიექტებს თანაბარი პირობები შესთავაზონ.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია კანონის შესაბამისად მედიის მიერ რეკლამის განთავსებასა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას ზედამხედველობს. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 22 აგვისტოდან ახორციელებს 49 ტელეარხის მონიტორინგს და გეგმავს არჩევნების დღემდე ერთი, ხოლო არჩევნების დღის შემდეგ მეორე ანგარიშის გამოქვეყნებას. 21 სექტემბერს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ დაადგინა, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის და აჭარის ტელევიზიის მიერ 13 სექტემბერს „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ პოლიტიკური რეკლამის გაშვებაზე უარის თქმა დარღვევას წარმოადგენდა და შესაბამისი ინსტანციის სასამართლოებს ამ ორი მედია საშუალების წინააღმდეგ ადმინისტრაციული საჩივრების გამოყენების მოთხოვნით მიმართა. 26 სექტემბერს ბათუმისა და თბილისის საქალაქო სასამართლოებმა აღნიშნული დარღვევისთვის შესაბამის მედია საშუალებებს გაფრთხილება მისცეს. დღემდე აღნიშნულ არხებს არ გაუშვია ეთერში მოცემული რეკლამა, რადგან ისინი სასამართლო გადაწყვეტილებების სააპელაციო წესით გასაჩივრების შესაძლებლობას განიხილავენ.

15 სექტემბერს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ 15 ტელეარხის და 5 ბეჭდური გამოცემის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონიტორინგი დაიწყო.²⁵

X. საჩივრები და სარჩელები

საარჩევნო კოდექსის მიხედვით საჩივრების შეტანისთვის და საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მიერ მათი განხილვისთვის ორ დღემდე ვადაა გამოყოფილი. ძირითად შემთხვევებში საჩივრების შეტანის უფლება რეგისტრირებული კანდიდატების და ასევე რეგისტრირებული სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააჩნიათ. ამომრჩევლებს საჩივრების შეტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ ისინი

²⁵ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის, „რუსთავი 2“-ის, „იმედის“ და აჭარის ტელევიზიის მონიტორინგი ყოველდღიურად 18:00-დან 24:00 საათამდე ტარდება; „მაესტროს“, „ობიექტივის“, „პირველის“ (თბილისში მაუწყებელი არხები), ასევე „გურიას“, „გურჯაანის“, „ქვემო ქართლის“, „ოდიშის“, „რიონის“, „თრიალეთის“ და ტვ-25“-ის (რეგიონული ტელეარხები) შემთხვევაში ამ ტელეკომპანიების მთავარი საინფორმაციო პროგრამების მონიტორინგი ხორციელდება. გარდა ამისა ტარდება გაზეთების „რეზონანსი“ (ყოველდღიური გამოცემა), „ალია“, „ასავალ-დასავალი“ და „ქრონიკა+“ (ყოველკვირეული გამოცემა) პოლიტიკური სტატიების მონიტორინგი. ამასთან ერთად, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია შემდეგი ონლაინ მედია საშუალებების - www.ipn.ge, www.netgazeti.ge, www.on.ge და www.tabula.ge არჩევნებთან დაკავშირებული მასალების მონიტორინგს ახორციელებს.

საარჩევნო სიაში არ აღმოჩნდებიან. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შესაბამის ზედა დონის კომისიაში და მხოლოდ ამის შემდეგ შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს. ცესკოს გადაწყვეტილებების გასაჩივრება თბილისის საქალაქო სასამართლოშია შესაძლებელი. საარჩევნო დავების გადაწყვეტისთვის საბოლოო ინსტანციას სააკველაციო სასამართლო წარმოადგენს.

ცესკო ონლაინ რეესტრს აწარმოებს, სადაც კომისიებში ან სასამართლოებში შეტანილი საჩივრები ფიქსირდება. 3 ოქტომბრის მონაცემებით ცესკო მხოლოდ ერთ საჩივარს განიხილავდა. სხვა საჩივრებზე ცესკოს თავმჯდომარემ ინდივიდუალურად მოახდინა რეაგირება. ცესკოს ორი გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა; ორივე შემთხვევაში სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილებები ძალაში დატოვა.

კანონის შესაბამისად უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის ივლისში შეიქმნა. სამართლებრივი მოთხოვნების თანახმად მისი მანდატი საარჩევნო დარღვევების „პრევენციას და მათზე რეაგირებას“ გულისხმობს. უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრია, კომისია სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების და ასევე პროკურატურის, ცესკოს (მოწვევის საფუძველზე), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და თბილისის მერიის წარმომადგენლებისგანაა დაკომპლექტებული. უწყებათაშორისმა კომისიამ შვიდი სხდომა ჩაატარა და საჯარო მოხელეებისა და საარჩევნო სუბიექტების მისამართით ექვსი რეკომენდაცია გასცა.

XI. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არჩევნების მთლიან პროცესზე დაკვირვების შესაძლებლობას აძლევს. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების აკრედიტება ცესკოს მიერ ხორციელდება. საოლქო საარჩევნო კომისიები იმ ადგილობრივი დამკვირვებლების და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების აკრედიტებას ახდენენ, რომლებიც კონკრეტულ საარჩევნო ოლქში ახორციელებენ დაკვირვებას. ამ არჩევნებისთვის ცესკომ პირველად დანერგა საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა ონლაინ რეგისტრაციის სისტემა.

3 ოქტომბრის მონაცემებით ცესკომ 52 ადგილობრივი და 23 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის აკრედიტაცია მოახდინა; აკრედიტაცია ასევე 21 მედია საშუალების წარმომადგენელმა 606-მა ჟურნალისტმა მიიღო. არაერთმა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ გრძელვადიანი საქმიანობა დაიწყო. ისინი წინასაარჩევნო გარემოს დაკვირვებას ახდენენ, ზოგიერთმა მათგანმა შუალედური ანგარიშები და საინფორმაციო ბიულეტენები გამოსცა.

XII. ეროვნული უმცირესობების ჩართულობა

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2 პროცენტს შეადგენენ. ეთნიკურ უმცირესობებში ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3%) და სომხები (4.5%).²⁶ კონსტიტუციით ეთნიკური უმცირესობები სრულფასოვანი პოლიტიკური უფლებებით, მათ შორის, საკუთარი მშობლიური ენის კერძოდ და საჯაროდ გამოყენების უფლებით სარგებლობენ. კონსტიტუცია ეროვნული, ეთნიკური, ენობრივი ან რელიგიური მოტივებით დისკრიმინაციას და ასევე, ისეთი პოლიტიკური პარტიების შექმნას კრძალავს, რომლებიც ეთნიკურ შუღლს აღვივებენ.

რამდენიმე პარტიამ/ბლოკმა და საინიციატივო ჯგუფმა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მერობის და საკრებულოს კანდიდატებად ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები დაასახელა. კანდიდატებს უმცირესობების ენაზე თავისუფლად შეუძლიათ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება. მართალია, წინასაარჩევნო კამპანიაში ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები მთავარ თემას არ წარმოადგენდა, მაგრამ ეთნიკური წარმომავლობა დროდადრო მაინც ხდებოდა მობილიზების ან პოლარიზების საბაზი.²⁷ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სიძულვილის ენის, მუქარის და დამაბუღლობის რამდენიმე შემთხვევა დაფიქსირდა.²⁸ ეთნიკური სომხებით დასახლებულ რაიონებში ეროვნული უმცირესობები შედარებით კარგად არიან წარმოდგენილი საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში. რაც შეეხება ეთნიკური აზერბაიჯანელებით დასახლებულ რაიონებს, საოლქო საარჩევნო კომისიებში აზერბაიჯანელები არ არიან წარმოდგენილი, თუმცა საუბნო საარჩევნო კომისიებში მათი წარმომადგენლობა ადეკვატურია.

საარჩევნო კოდექსი ბიულეტენების, ამომრჩეველთა სიების და სხვა საარჩევნო მასალების ეროვნული უმცირესობების ენებზე თარგმნას ითვალისწინებს. ცესკო ამომრჩეველთა განათლებასა და ინფორმირებაზე მიმართული მასალების აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გავრცელებას აპირებს, მათ შორის, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობითაც. ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში საუბნო საარჩევნო კომისიების

²⁶ მათ შემდეგი ეთნიკური ჯგუფები მოსდევს: რუსები (0.7%), ოსები (0.4%), იეზიდები (0.3%), უკრაინელები (0.2%), ქისტები (0.2%), ბერძნები (0.1%), ასირიელები (0.1%) და სხვა ჯგუფები (0.4%).

²⁷ 18 სექტემბერს, მას შემდეგ, რაც მარნეულში „ქართული ოცნების“ ეთნიკურად ქართველი მერობის კანდიდატი ეთნიკურად აზერბაიჯანელი კანდიდატით შეიცვალა, ყოფილი კანდიდატის მხარდამჭერებმა თბილისში „ქართული ოცნების“ სათავე ოფისთან საპროტესტო აქცია გამართეს. 24 სექტემბერს ბათუმში გამართული მიტინგის დროს „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა მწვავე ანტი-თურქულ რიტორიკას მიმართეს.

²⁸ 2 სექტემბერს „პატრიოტთა ალიანსის“ მერობის კანდიდატი ახალქალაქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დაემუქრა. 25 სექტემბერს „გაერთიანებულმა დემოკრატიულმა მოძრაობამ“ განაცხადა, რომ ახალქალაქში მისი მერობის კანდიდატზე არჩევნებიდან კანდიდატურის მოხსნის მიზნით ზეწოლა ხორციელდებოდა.

წევრთა სწავლებები შესაბამისი ეთნიკური უმცირესობების ენებზე ტარდება.²⁹ გარდა ამისა, ცესკოში სამენოვანი ცხელი ხაზი მოქმედებს (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე). ამასთან, ერთად ცესკოს ვებ გვერდზე ინფორმაცია აფხაზურ ენაზეც ვრცელდება.

XIII. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის საქმიანობა

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა 13 სექტემბერს დაიწყო. მისიის ხელმძღვანელი შეხვდა საგარეო საქმეთა მინისტრს, ცესკოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს, სახალხო დამცველს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ხელმძღვანელებს, სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო ოფიციალურ პირებს და ეუთოს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ კონტაქტები დაამყარა პოლიტიკურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოების და მედიის წარმომადგენლებთან და არჩევნებით დაინტერესებულ სხვა მხარეებთან.

ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესი არჩევნების დღეს საკუთარი სადამკვირვებლო დელეგაციის გამოგზავნას გეგმავს.

წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.

ანგარიშის არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

²⁹ ეროვნული უმცირესობები 335 საუბნო საარჩევნო კომისიაში არიან წარმოდგენილი, აქედან 208 კომისიაში შერეული ქართულ-აზერბაიჯანული, 133 კომისიაში ქართულ-სომხური, ხოლო 4 კომისიაში ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური წარმომადგენლობაა.